# ხელშეკრულება 238/10

ს.10,26
283

დას. საბერიო

„01" „12" 2010 წ.

შპს "ენგურჰესი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი. ჭავჭავაძის ქ. №50, ფაქტიური მდებარეობა გალის რაიონი დას.საბერიო. შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, მისი *დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ლევან მებონიას* სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე ერთის მხრივ და

შპს „თანი", მისი დირექტორის – თენგიზ კვარაცხელიას სახით, იურიდიული მისამართი: წალენჯიხის რ-ნი, შემდგომში "მიმწოდებლად" წოდებული, მეორეს მხრივ წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "შემსყიდველი" ავალებს, ხოლო "მიმწოდებელი" თანახმაა ურთიერთშეთანხმებულ ვადაში შეასრულოს <u>შემდეგი სამუშაო</u>:

– საკუთარი მოხმარების ფარის 7-H-ის, სააკუმლატორო ბატარეის სათავსოს კარების მოწყობა.

ხელშეკრულებას თან ერთვის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. სამუშაოს მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ჰიდროტექნიკური სამქროს უფროსი – შ. ბოკუჩავა, შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის სპეციალისტი – რ. ლაგვილავა, სტგ-ს ინჟინერი – რ. ჯანჯღავა.

## 3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

– მკაცრად დაიცვას სამუშაოს დამთავრების სახელშეკრულებო ვადები, უზრუნველყოს სათანადო ხარისხი;

– სამუშაოს უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში 2 დღის ვადაში აღმოფხვრას ნაკლოვანებები დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

3.2 "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

– შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება განახორციელოს მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

3.3 – შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაიხადოს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

## 4. მხარეთა პასუხისმგებლობები

4.1 ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.

4.2 მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალი.

4.3 იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" 10 დღეზე მეტად გადააცილებს სამუშაოს შესრულების ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა "შემსყიდველის" წინაშე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.

4.4 10 დღეზე მეტად გადასდის დაგვიანების შემთხვევაში "შემსყიდველი" გადაიხდის "მიმწოდებლის" სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0,07%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 5. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

5.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 4 227,72 (ოთხი ათას ორასოცდაშვიდ ლარს და სამოცდათორმეტ თეთრს) ლარს კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

5.2. ხელშეკრულების ფასი მყარია და შეიცვლება მხოლოდ მაშინ, თუ ორმხრივი შეთანხმებით შეიცვლება სამუშაოს მოცულობა. ამ შემთხვევაში ცვლილებები აისახება ხელშეკრულებაზე დამატებითი შეთანხმების სახით.

5.3 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება.

5.4 „შემსყიდველი" „მიმწოდებელს" ავანსად უხდის სახელშეკრულებო თანხის 50 % - ს „მიმწოდებლის" მიერ შესაბამის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, ხოლო დანარჩენ თანხას აანაზღაურებს სამუშაოების დასრულებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

## 6 ვალდებულებების შესრულების ვადები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო ქმედებას "მიმწოდებელი" იწყებს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

6.2 სამუშაოს შესრულების ხანგრძლივობა განისაზღვრება 20 (ოცი) დღით.

6.3. "მიმწოდებელს" უფლება აქვს თავისი ვალდებულებები შეასრულოს ვადამდე.

6.4. „მიმწოდებლის" მიერ სამუშაოების დასრულების შემდეგ, მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც ჩაითვლება „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებლად.

## 7. ფორს - მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჭირო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

7.2 ფორს-მაჟორული გარემოება ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, გარემოებას და ან მათ კომბინაციას, რომელიც არ არის კონტროლირებადი არც ერთი მხარის მიერ და რომელმაც (ან რომლის შედეგმაც) შეიძლება მნიშვნელოვნად და უარყოფითად იმოქმედოს მოცემული მხარის უნარზე შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომელიც წარმოიშვება ამ ხელშეხრულების მიხედვით, თუმცა იმ პირობით, რომ ასეთი მოვლენა, გარემოება და ან მათი კომბინაცია არ ჩაითვლება ფორს-მაჟორულ გარემოებად, თუ იგი არ შეიძლებოდა მთლიანად ან ნაწილობრივ თავიდან აცილებულ ან გამოსწორებული ყოფილიყო დამკვეთი მხარის მიერ.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ გარემოებებს, რომლებიც ვერ იქნება კონტროლირებადი მხარეთა მიერ: საომარი მოქმედება (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), ბლოკადა, რევოლუცია, რადიოაქტიური დაბინძურება ან იონიზირებული რადიაცია, ხანძარი, მიწისძვრა, შტორმი, ციკლონი, ეპიდემია, საქართველოს აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

## 8. ცვლილებები ხელშეკრულებაში

8.1 ნებისმიერ შემთხვევაში ცვლილებები და მასთან დაკავშირებული პროცედურები ფორმდება როგორც დამატება ხელშეკრულებაზე და მხარეების ხელმოწერის შემდეგ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ასევე წესით ფორმდება მუშაობის პროცესში გამოვლენილი დამატებითი სამუშაოს მოცულობები

[illegible]
გარეშე.

## 9. სხვა პირობები

9.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.
9.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს თანაბარი ძალა გააჩნია.
9.3. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს დაუყონებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.
9.4. სადაო საკითხები რეგულირდება ორმხრივი მოლაპარაკებით. თუ ეს მოლაპარაკება აღმოჩნდება უშედეგო, დავა გადაწყდება სასამართლო წესით საქართველოს კანონების მიხედვით.
9.5. ხელშეკრულება ძალაშია 2010 წლის 29 დეკემბრამდე.

## 10 . მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
შპს "ენგურჰესი"
ს/კოდი-251716371
იურიდიული მისამართი : ქ. თბილისი. ჭავჭავაძის ქ. № 50, ფაქტიური მდებარეობა გალის რაიონი დას. საბერიო.
სს „პროკრედიტ ბანკის'' ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება
ბანკის კოდი 220101929
ა/ა 301467126

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

________ ლ. მებონია

"მიმწოდებელი"
შპს „თანი"
ს/კ 242732977
იურიდიული მისამართი : წალენჯიხის რ–ნი

სს „სახალხო ბანკის'' წალენჯიხის ფილიალი

ბანკის კოდი 220101419
ა/ა 36020027

დირექტორი

________ თ. კვარაცხელია

ვიზა: ტექ. დირექტორი ________

იურ. სამსახური ________

შესყ. სამსახური ________

ფინ. სამსახური ________

ტექ. განყოფილება ________

ბუღალტერია ________

შიდა აუდიტი ________

„შეთანხმებულია"
შპს „ენგურჰესი"- ს დირექტორთა
საბჭოს თავმჯდომარე

ლ. მებონია

1. 12. 2010 წ

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
შპს „თანი"- ს დირექტორი

თ. კვარაცხელია

1. 12. 2010 წ

საკუთარი მოხმარების ფარის 7-H-ის, საკუმლატორო ბატარეის სათავსოს კარების

# ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

| № | სამუშაოს დასახელება | განზ | რაოდ | მასალები | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი ლარებში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ.ფასი | ჯამი | ერთ.ფასი | ჯამი | ერთ.ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 1 | არსებული ხის კარების მოხსნა და გატანა | ც | 3 | | | 10 | 30 | | | |
| 2 | რკინის კარების დამზადება (2,62X1,53) | ც | 3 | | | 200 | 600 | | | |
| 3 | რკინის კარების ჩატანა და მონტაჟი | ც | 3 | | | 70 | 210 | | | |
| 4 | ღრიჭოების ამოშენება და ბათქაშის მოწყობა | გ/მ | 18 | | | 8 | 144 | | | |
| 6 | რკინის კარების შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით | მ² | 24 | | | 5 | 120 | | | |
| 6 | მავთულბადის მოწყობა | მ² | 3,7 | | | 10 | 37 | | | |
| № | მასალები | | | | | | | | | |
| 1 | ტრუბა-კვადრატი (100X50) | გ/მ | 30 | 14 | 420 | | | | | |
| 2 | ტრუბა-კვადრატი (50X20) | გ/მ | 66 | 7 | 462 | | | | | |
| 3 | ლითონის ფურცლოვანა (2,0X1,0) | მ² | 10 | 35 | 350 | | | | | |
| 4 | ტრუბა-კვადრატი (40X20) | გ/მ | 15 | 5 | 75 | | | | | |
| 5 | ურდული | ც | 6 | 6 | 36 | | | | | |
| 6 | ელექტროდი | კგ | 6 | 3,2 | 19,2 | | | | | |
| 7 | ურდულიანი საკეტი | ც | 3 | 30 | 90 | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | ანტიკოროზიული საღებავი | კგ | 10 | 4 | 40 | | | | | |
| 9 | რკინის ზოლი (25X3) | გ/მ | 18 | 2,5 | 45 | | | | | |
| 10 | რკინის საჭრელი დისკი | ც | 2 | 5 | 10 | | | | | |
| 11 | მავთულბადე (15X15) | $მ^2$ | 4 | 10 | 40 | | | | | |
| 12 | ძელაკი 30 მმ | მ | 3,5 | 8 | 28 | | | | | |
| | ჯამი: | | | | 1 615,20 | | 1 141,00 | | 100,00 | 2 856,20 |
| | ზედნადები ხარჯები 12% | | | | | | | | | 342,74 |
| | ჯამი: | | | | | | | | | 3 198,94 |
| | გეგმიური დაგროვება 12% | | | | | | | | | 383,87 |
| | ჯამი: | | | | | | | | | 3 582,82 |
| | დღგ 18% | | | | | | | | | 644,91 |
| | სულ ჯამი: | | | | | | | | | 4 227,72 |

შეადგინა: სტგ-ს ინჟინერი: რ. ჯანჯღავა

შესყ. სამს. სპეციალისტი: რ. ლაგვილავა